საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 11.11.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320050.05.001.017935) მე-2 მუხლის:
ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2, მე-3 და მე-6–მე-9 პუნქტები, მე-11 პუნქტით გათვალისწინებული კანონის III^1 თავის სათაური და 13^5 მუხლის მე-5 პუნქტი, მე-12 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები და მე-13–მე-18 პუნქტები ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი, მე-4, მე-5 და მე-10 პუნქტები და მე-11 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 13^1–13^4 მუხლები და 13^5 მუხლის პირველი–მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

21 დეკემბერი 2016 წ.

N157-რს